საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/11 „22" ივნისი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ

1. „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/202-2007 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი დაუწესდეთ საქართველოს საერთო სასამართლოების შემდეგ მოსამართლეებს:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 800 ლარი;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 850 ლარი;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 1050 ლარი;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 950 ლარი;

ე) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 450 ლარი;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 500 ლარი;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 600 ლარი;

თ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 850 ლარი;

ი) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 750 ლარი;

კ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 300 ლარი;

ლ) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს – 1500 ლარი;

მ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 1100 ლარი;

ნ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 400 ლარი;

ო) გაერთიანებული რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს - 1250 ლარი.

2. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისათვის დადგენილი დანამატის ოდენობით.

3. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისათვის:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს დაუწესდეთ დანამატი 650 ლარის ოდენობით;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ საქართველოს პარლამენტის წევრებს დაუწესდეთ დანამატი 650 ლარის ოდენობით.

4. საერთო სასამართლოების დეპარტამენტს დაევალოს ამ გადაწყვეტილების პირველი და მე-2 პუნქტებითა და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი დანამატების გაცემის უზრუნველყოფა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დაევალოს ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი დანამატების გაცემის უზრუნველყოფა.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 8 იანვრის №1/2-2007 გადაწყვეტილება.

7. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი ხიზანიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი